სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №25

ქ. ქუთაისი 22 მაისი 2019 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“, მისი დირექტორის ტრისტანი ჭაბუკიანის სახით, (მისამართი, რეკვიზიტები – ქ.ქუთაისი, რომევიჩის ქ №2ა, ს/ნ 412670435, სს “VTB ბანკი ჯორჯია”-ქუთაისის ფილიალი, მფო UGBGE22, ა/ა GE08VT0500000000363408 ტელ: (0431 25-29-27) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ შპს „რაპაკა“, მისი დირექტორის კახაბერ გვეტაძის სახით, (მისამართი: ქ.ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2, ს/ნ 412704505, ს.ს „პროკრედიტ“ ბანკი, ა/ა GE54PC0013600100045900) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. 2019 წლის შესყიდვების გეგმით დამტკიცებული თანხის ფარგლებში სარკლამო ბანერის დამზადება შესყიდვა.

1.2. კლასიფიკატორის კოდი – 22462000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **53** (ორმოცდაცამეტი ლარი და 00 თეთრი)

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 22 ივნისის ჩთ.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით ან შესაბამისი დოკუმენტით, რომლის დამტკიცებას ახორციელებს შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“ –ის დირექტორი ტრისტანი ჭაბუკიანი.

5. ანგარიშწორება და ვალუტა

5.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად საქონლის მიწოდების მოცულობა და ღირებულება.

ბ) ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად გამოწერილი ზედნადები და ადა წარმოდგენილი მიღება–ჩაბრების აქტი.

5.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა)

5.3 ანგარიშსწორების ვადაა ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;

5.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან – 2019 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 განხორციელებული მომსახურების დამტკიცებას ახორციელებს შპს „საკალათბურთო კლუბი “ქუთაისი-2010“–ის დირექტორი ტრისტანი ჭაბუკიანი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.
7.3 დაუძლეველი ძალის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
8.1.1 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 10% ოდენობით.
8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.
8.4 დაუძლეველი ძალის პირობებში.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;
12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 22 ივლისის ჩათვლით.
14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შპს „საკალათბურთო კლუბი “ქუთაისი-2010“
მის: ქ. ქუთაისი, რომევიჩის ქ 2ა
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისი ფილიალი
ბ/კოდი: **UGBGE22**
ა/ა **GE08VT0500000000363408**
ს/ნ 412670435

მიმწოდებელი:

შპს „რაპაკა“
მის:ქ.ქუთაისი,წერეთლისა და ჯიბლაძის .35/2
ს.ს „პროკრედიტ“ ბანკი
ა/ა GE54PC0013600100045900
ს/ნ 412704505

შპს „საკალათბურთო კლუბი “ქუთაისი-2010“
დირექტორი:

Tristani Tchabukiani

Digitally signed by Tristani Tchabukiani
Date: 2019.05.22 16:37:46 +04'00'

ტრისტანი ჭაბუკიანი

შპს „რაპაკა“–ს დირექტორი:

კახაბერი გვეტაძე

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

მიმწოდებლის დასახელება - *შპს „რაპაკა“----------*

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1.	სარეკლამო ბანერის დამზადება–შესყიდვა			53 ლარი	ქუთაისი	22.05.2019 - 22.06.2019

მიმწოდებლის ხელმოწერა:

დირექტორი: /კ.გვეტაძე/